თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4615161

ნომერი: AR1696497

თარიღი : 25.07.2019

გაცემის თარიღი : 01.08.2019

გაცნობის თარიღი : 01.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქ. წამებულის გამზირი, N 75-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა არჯევანიძე პ/ნ 12001031517
- თბილისი პატარა ლილო

ორგანიზაცია:
- შპს ელ კომპანი კოდი: 406263760

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ხელშეკრულება დადებულია შპს „ჯეო პეტროლიუმსა“ და შპს „ელ კომპანის“ შორის, ხელშეკრულების მე-8 მუხლს თანახმად ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადა აღემატება 1 წელს, საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას აქედან გამომდინარე საჭიროა იჯარა დარეგისტრირდეს რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში. ძირი იჯარის ხელშეკრულება რომელიც დადებულია მოიჯარე შპს „ჯეო პეტროლიუმსა“და მეიჯარე შპს „მაგოილს“ შორის მე-8 მუხლის თანახმად დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, აქედან გამომდინარე საჭიროა აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება დარეგისტრირდეს რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში. წარმოსადგენია შპს ჯეო პეტროლიუმის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებზე ვინაიდან ხელშეკრულება წინასწარ თანხმობას არ ითვალისწინებს არჩეულ ნომენკლატურით განსაზღვრულ სამუშაოებზე და ითვალისწინებს მხოლოდ აბრის მოწყობის უფლებას.
02. ..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ვინაიდან 25/03/2016 №2498790 განაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოები განხორციელებული სახით ფიქსირდება 01/11/2016 AR1453305 განცხადებაზე, ხოლო ამჟამად წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველ სურათებიდან დგინდება რომ აღნიშნული ვიზუალი შეცვლილია, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა პირველ რიგში განმარტოთ აღნიშნულის შესახებ მოთხოვნის ტექსტში.
ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.